



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გენაიშვილი ოთარ პლატონის ძე

გენაიშვილი ოთარ პლატონის ძე (დ. 18. VII. 1924, ქუთაისი), პარაზიტოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1971), პროფესორი (1995), საქართვე. პროფილაქტიკური მედ. მეცნ. აკად. წევრი (1994). 1946 დაამთავრა თსსი. მუშაობა დაიწყო ცხინვალში ჯანმრთელობის დაცვის საოლქო სამალარიო სადგურის გამგედ, პარალელურად – საოლქო პოლიკლინიკის თერაპევტად. 1950-იდან სამედ. პარაზიტოლოგიის და ტროპ. მედიცინის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის თანამშრომელია, 1961-იდან ხელმძღვანელობს კლინ. განყოფილებას. ზ. არის პარაზიტოლოგიის და ტროპ. მედიცინის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის სამეცნ. საბჭოს წევრი; საქართვე. ინფექციონისტთა, ეპიდემიოლოგთა, პეპატოლოგთა, პარაზიტოლოგთა და მიკრობიოლოგთა სამეცნ. ასოციაციის დამფუძნებელი (2003). მისი სამეცნ. მუშაობის ძირითადი სფეროა პარაზიტულ და ტროპ. დაავადებათა მკურნალობის, მ. შ. ექინოკოკოზის კონსერვატიული მკურნალობის საკითხები. ზ. არის ბაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სახ. პრემიის ლაურეატი (1991). მრავალი სამეცნ. შრომის და 5 მონოგრაფიის, ავტორი.
